საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს
ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6

13. 07. 2020 წელი

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ მ.წლის 19 ივნისს ჩვენს მიერ დეპარტამენტში გადმოგზავნილი იქნა ქ. ბათუმში აკაკი შანიძის ქუჩა N7ა-ში, ხელვაჩაურის სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე (GPS-კოორდინატები: X-719787; Y-4607384) შპს „ერენ"-ის ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლოატაციის სკრინინგის ანგარიში

დამატებით გიგზავნით საწარმოს სკრინინგის პროცედურის გავლისათვის აუცილებელ დამატებით მონაცემები და შესწორებები, კერძოდ:

საწარმოს ტერიტორიული განთავსება, როგორც ზევით იქნა აღნიშნული დაგეგმილია ქ. ბათუმში აკაკი შანიძის ქუჩა №7ა-ში არსებული სს „მეტრო ქონსტრაქშენ"-ის კუთვნილ ტერიტორიაზე (ს.კოდი 05.35.28.526), თანახმად 2020 წლის 24 თებერვლის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებისა. თუმცა როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ჩანს ტერიტორიის მისამართია ქ. ბათუმი წერეთლის შესახვევი №2. რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ ხსენებული ტერიტორია მდებარეობს ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში არსებულ 2 ქუჩის, აკაკი შანიძის ქუჩისა და წერეთლის შესახვევის კვეთაში.

როგორც სკრინინგის ანგარიშში იქნა აღნიშნული შპს „ერენ"-ს დაგეგმილი აქვს მოცემულ ტერიტორიაზე არსებული ძველი (2016 წელს ექსპლოატაციაში გაშვებული) ქვისსამტვრევი საწარმოს, რომლის წარმადობა აჭარის გარემოსდაცვით სამსახურში არსებული ეკოლოგიური დოკუმენტაციის თანახმად შეადგენს: დამზადებული ღორღი-80000 ტონა, ანუ 80000:1670=47900 მ³ და დამზადებული ქვიშა-60000 ტონა, ანუ 60000:1372=43700 მ³, რაც წლიურად ჯამში 91600 მ³ იქნება, ხოლო რაც შეეხება ახალ, მოდერნიზებულ ქვისსამტვრევ საწარმოს, მისი სიმძლავრეები გაიზრდება და წლიურად ჯამში დაამზადებს 114000 მ³ ქვიშა-ღორღს. ამასთან ერთად, შესაბამისად გაიზრდება საწარმოს მაღალპროდუქტიული წყაროების რაოდენობაც, კერძოდ, ძველ საწარმოში მათი რაოდენობა შეადგენდა 6 ერთეულს, ხოლო ახალში მათი რაოდენობა იქნება 8. რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იქნება გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ფრაქციების. ამასთან ერთად, სამტვრევი აგრეგატების

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 10838
"15" 07 2020
2/4
03

რაოდენობის გაზრდით. ამასთან ერთად, შესაბამისად 4 ერთეულით გაიზრდება ლენტური კონვეიერების რაოდენობაც.

რაც შეეხება საწარმოს წყალმომარაგების და წყალარინების საკითხს, საწარმოში ტექნოლოგიური მიზნებისათვის წყალი აღებული იქნება მეიჯარე კომპანიის კუთვნილი ჭაბურღილიდან, ხოლო ნახმარი წყალი ჩაშვებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ მექანიკურ, სამსექციან გამწმენდ-სალექარში, საიდანაც ბრუნვითი წყალმომარაგების მეთოდით, ტუმბოს მეშვეობით მოხდება წყლის განმეორებით მიწოდება ქვისამსხვრევ საწარმოზე, ხოლო მყარი ნაწილი ჩაიშვება სამეწარმეო ზონის ტერიტორიაზე გამოყოფილ სარეზერვო არეში.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, განმეორებით (შესწორებებითა და დამატებითი მონაცემებით) განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

თანდართულია:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. იჯარის ხელშეკრულება (ამონაწერით).

დანართი ფურცელი

პატივისცემით,

შპს „ერენ"-ის დირექტორი სუზგინ მარიშ აქან

ტელ. 577252919